ასევე ძალიან გემრიელია: აიღეთ გასუფთავებული კალმახი, ცხელ სქელ ძირიან კეცზე დაასხით ზეთი, დააღებთ კაკლის ფოთლები, დადეთ კალმახი დააფარეთ ზევიდან კაკლის ფოთლები. როდესაც ერთი გვერდიდან შეიბაწება გადააბრუნეთ, დააფარეთ ისევ კაკლის ფოთლები და შეწვით მეორე გვერდიდან. სუფრაზე მიტანის წინ გააფორმეთ სალათის და ოხრახუმის ფოთლებით.

საციხი

რაოდენობა: 16 პორცია

1 ც. ინდაური ან ქათამი	500 გრ. ნიგოზი
1 ც. საშუალო ზომის ნიორი	2 ჩ.კ. უცხო სურნელი
2 ჩ.კ. ხმელი ქინძი	10 ჩ.ჭ. ცხელი ნახარში
2 ჩ.კ. ზაფრანა	მჭადის ფქვილი სამუშაოდ
მარილი და წიწაკა	გემოვნებით

კალორიები: 1 ცალი – 490 კ/კალ

დამზადების დრო: 3:45 წთ

გასუფთავებული ინდაური ან ქათამი გარეცხეთ მჭადის ფქვილში, ფეხები შეუკარით ძაფით, ჩადეთ ქვაფში, წყალი უნდა ფარავდეს, დადგით ცეცხლზე და ხარშეთ. ინდაური ან ქათამი მოხარშული იქნება როდესაც ფეხებს დავაწვებით და გადაიხსნება კანი. ამოვიღოთ, დავდოთ ლანგარზე, მოვაყაროთ მარილი და გავაგრილოთ. ნიგოზი გავატაროთ ხორცის გასატარებელ მანქანაში, დავაყაროთ ასევე გატარებული სუნელები, ნიგოზი ვსრისოთ ზეთის გამოსვლამდე, გამოვაცალოთ ზეთი და გადავიტანოთ ცალკე ჭურჭელში. ნიგოზის მასა გავცრათ საცერში და დაეუმატოთ თანდათანობით ნახარში. საცერში გატარებულ მასას დავასხათ საკმაოდ გაცხელებული ნახარში ცხიმით, დავაყაროთ მარილი და პილპილი გემოვნებით, შედმეგ ჩავალაგოთ დაჭრილი ხორცი. სუფრაზე მიტანის წინ დავასხათ ნიგოზს გამოცლილი ზეთი.

ხორცის ნაჭრები შემწვარი კარტოფილით (ქარკოე)

რაოდენობა: 8 პორცია

1 კგ. რბილი ხორცის ნაჭრები	1 კგ. კარტოფილი
2-3 ც. ხახვი	200 გრ. ტომატი
მწვანილები და მარილი	გემოვნებით
	100 გრ. ცხიმი

კალორიები: 1 ცალი – 450 კ/კალ

დამზადების დრო: 0:45 წთ

დავჭრათ რბილი ხორცი მოვშუშოთ, დავაყაროთ ხახვი, დავასხათ ტომატი და ვშუშოთ ცხიმში. ცხიმი საკმაოდ რაოდენობით უნდა ქონდეს. ამავდროულად ცალკე შევწვათ კარტოფილს მრგავლებად. სუფრაზე მივიტანოთ ერთ დიდი თეფშე ნახევარი ავავსოთ ხორციანი

მასით ნახევარი კარტოფილით.

ნიგოზიანი ბადრიჯანი

რაოდენობა: რამდენიც გამოვა

1 კგ. ბადრიჯანი

1 ჩ.წ. ნიგოზი

100 გრ. ცხიმი

2 სკ. ღვინის ძმარი

ქინძი, ნიორი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით

კალორიები: 1 ცალი – 230 კ/კალ

დამზადების დრო: 1:15 წთ

ბადრიჯანი ჩავეჭრათ სამი-ოთხი სმ. სიგრძეზე დავაყაროთ მარილი და დავველოდოთ სანამ წვენი გამოუვა. დავნაყოთ ნიორი, ქინძი, ნიგოზი, წიწაკა, მარილი. ეს ყველაფერი აურიოთ ღვინის ძმართან ერთად. გავწუროთ ბადრიჯანი და შევწვათ ორივე გვერდიდან ცხიმში. შემწვარ ბადრიჯნებს წავუსვათ გულსართი და გადავკეცოთ. ძემოდან მოვასხათ ცხიმში.

ქათმის სალათი

რაოდენობა: 6-8 პორცია

1 კგ. ქათმის თეთრი,

1 პაკეტი მაიონეზი

სუნელები გემოვნებით (ზაფ-
რანა, უცხო სუნელი, პილპი-
ლი, კამა)

გულმერდის ხორცი
მარილი

1 ც. ხახვი

2 ც. საშუალო ზომის ბოლოკი

ზეთის ხილის მარცვლები

1 ჩ.ჭ. წყალი

კალორიები: 1 ცალი – 300 კ/კალ

დამზადების დრო: 0:45 წთ

მოვხარშოთ ქათმის ხორცი, გააგრილო, დავანაწევროთ წვრილ ნატრებად. ცალკე ჭურჭელში გავხსნათ მაიონეზი წყალთან ერთად, შეურიოთ სუნელები, წვრილად დაჭრილი ხახვი, გახეხილი ბოლოკი, მარილი გემოვნებით. მიღებული მასა დავასხათ ხორცის ნაწილებს და კარგად აურიოთ. სუფრაზე მიტანის წინ გავაფორმოთ ზეთის ხილის მარცვლებით.

ნახუში

რაოდენობა: 5 პორცია

1 კგ. უმაღლესი ხარისხის

3 ც. კვერცი

ფქვილი 1 1/2 ჩ.ჭ. შაქარი
მუსკატის კაკალი, დარიჩინი, ყვითელი ფერი
მიხაკი, ილი 100 გრ. ცხიმი
მარილი რძე მოსახელად
საფუარი

კალორიები: 1 ცალი – 300 კ/კალ
დამზადების დრო: 1:45 წთ
მოხილეთ ჩვეულებრივი ცომი ყველა ინგრედიენტისგან.
დატოვეთ ერთი კვერცხის გული. დადგით ასაფუებლად. შემდეგ
დადეთ მაგიდაზე გააბრტყელეთ მიეცით ლავაშის პურის ფორმა,
ზემოდან წაუსვით კვერცხის გული და გამოაცხეთ ღუმელში.

ბრინჯი ქიშმიში

რაოდენობა: 6 პორცია
500 გრ. გრძელი ბრინჯი 6 ჩ.ჭ. წყალი
100 გრ. ქიშმიში 200 გრ. ზეთი
შაქარი, მარილი, ვანილი გემოვნებით

კალორიები: 1 ცალი – 250 კ/კალ
დამზადების დრო: 0:45 წთ
გასუფთაებულ ბრინჯს დავასხათ წყალი, დავდგათ მოსა-
ხარშად, ვხარშოთ წყლის ჩაშრობამდე. ზეთი ცალკე ჭურჭელში
მოვშუშოთ, ჩავყაროთ ქიშმიში და გავაგრძელოთ შუშვა.
შემდეგ ზეთი ქიშმიშით ჩავასხათ ბრინჯში, მოურიოთ კარგად
და გადმოვდგათ ცეცხლიდან. ჩავაყაროთ შაქარი, მარილი და
ვანილი გემოვნებით.



სულ ცოტა რამ სუფრის შესახებ

სულ ცოტა რამ სუფრის შესახებ

სარჩევი

განმარტებები -----	205
დანა-ჩანგალი -----	206
ჭიქა მინის (ბროლის) -----	207
სუფრის თეთრეული -----	208
სუფრის გაშლის წესები -----	208
თეფშები -----	209
ჭიქები მინა (ბროლი) სუფარზე -----	210
ხელსახოცი -----	213
სანელებელი და ყვავილები-----	213
წარმოდგენას შეგიქმნით საბანკეტო სუფრებზე -----	214
ბანკეტი-ფუშეტი -----	215
ბანკეტი-კოქტეილი -----	216
ბანკეტი-ჩაი -----	217
ერთეულები -----	223

სულ ცოტა რამ სუფრის შესახებ

ბანმარტუპუპი

სუფრის ლამაზად და სწორად გასაწყობად საჭიროა ვიცოდეთ, რა სახის ჭურჭელი გვჭირდება და როგორ უნდა განვალაგოთ იგი. ძირითადად გამოიყენება:

- საუზმის თევში – ცივი და ზოგი სახის ცხელი კერძებისთვის, მისი დიამეტრია 200 მმ.
- სუფრის ღრმა თევში – ყველა სახის წვნიანის, ფაფეულისთვის და კერძებისთვის, რომელსაც რძეს ან თხელ კისელებს მიატანენ ხოლმე. მისი დიამეტრია: დიდი თევშისა – 240 მმ, 500 სმ მოცულობისა, პატარა 200 მმ, 300 სმ მოცულობა.
- ბულიონის ფიალა – ბულიონის, პიურეებისა და ისეთი წვნიანისთვის, რომელსაც წვრილად დაჭრილი გარნირი აქვს. ფიალა შეიძლება იყოს ერთი ან ორყურიანი.
- სუფრის პატარა თევში – განკუთვნილია, მეორე თავის კერძისთვის. ზოგჯერ ასეთ თევშს დიდ სუფრის თევშს, მათლაფას, უდგამენ ქვეშ. სადღესასწაულო მიღებასა და ბანკეტზე კი, საუზმის თევშის ქვეშ ათავსებენ.
- ღვეზელის თევში – ჩვეულებრივ პურ-ფუნთუ-შეულისთვისაა განკუთვნილი და ყველა სტუმარს ცალკე უდგას. თუ პურობა საზეიმო ხასიათისა არ არის, ღვეზელის თევშის ნაცვლად შეგიძლიათ ქაღალდის ხელსახოცი გამოიყენოთ.
- ჩოროზის თევში – ტკბილეულისთვის გამოიყენება. მისი დიამეტრია 200 მმ. საუზმის თევშისა და სუფრის ღრმა თევშისგან განსხვავებით ჩოროზის თევში ან ფიალა ხილით ან ყვავილებითაა მოხატული. ჩოროზის თევშით მიართმევენ ტკბილეულს, ნამცხვარს, ხილს, ფიალით კი მუსს, სამბუკს, ხილის ტკბილ ფაფას, მურაბას და სხვა. ჩოროზის თევშის ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ საუზმის თევში ან პატარა მათლაფა.
- საკრემე ორგვარია, ლითონის ან მინისა. საკრემით მიართმევენ მრავალგვარ ტკბილეულს, მაგალითად, კისელებს, კომპოტს ან ხილს ან კენკრას, ნაყინს და სხვა. სუფრაზე მას საუზმის თევშით დგამენ.

არსებობს კიდევ სხვაგვარი ჭურჭელი, რომელშიც ამზადებენ კერძს, სუფრასთან მიაქვთ, ან ჭამის დროს იყენებენ.

ძირითადად რითიც საჭმელს შეექცევა ადამიანი, გახლავთ დანა და ჩანგალი. ურიგო არ იქნება თუ გავითვალისწინებთ შემდეგს: ყველა დანას თავისი შესაფერი ჩანგალი აქვს. დანა-ჩანგალი გამოიყენება ხორციანი კერძების, ცომეულის, ღვეზელის, და სხვათა საჭმელად. ამასთან დანის პირი შეგიძლიათ მიაშველოთ ჩანგალს ლუკმის ასაღებად.

- სუფრის დანა ზომით შეესაბამება პატარა თევზის დიამეტრს (1,5-2 სმ), ჩანგალი კი დანას ეთანადება, ან მასზე ცოტა პატარაა.
- თევზისთვის განკუთვნილი დანა-ჩანგალი თევზის კერძის მისართმევად უნდა გამოიყენოთ. თევზის დანა-ჩანგლის უქონლობის შემთხვევაში ორ ჩანგალს ხმარობენ. იგი სუფრის დანა-ჩანგალს ოდნავ ჩამოუვარდება. დანა ბლაგვი უნდა იყოს და ჩანგალს მოკლე და ფართო კბილი უნდა ჰქონდეს.
- საუზმის დანა-ჩანგლით სხვადასხვა საუზმეს – ხორცის, სოკოს, ბოსტნეულის კერძებს შეექცევიან.
- საჩაროზე დანა-ჩანგალი ტკბილი ღვეზელისათვის, ტორტის, დაჭრილი საზამთროსა და ნესვისთვის გამოიყენება.
- საზეიმო წვეულებებზე კოვზებსაც მხარობენ, გამოიყენება სუფრის კოვზი განკუთვნილია სუფრის თევზით მირთმეული წვნიანისთვის.
- საჩაროზე კოვზი ტკბილი კერძების, აგრეთვე, ბულიონის ფიალებით მირთმეული წვნიანისთვის გამოიყენება.
- ჩაის კოვზი ჩაის, რძიანი ან ნაღებიანი ყავის, კაკაოსთვის გამოიყენება, რომელსაც ჭიქებით ან ფინჯნებით მიირთმევენ. მისი გამოყენება შეიძლება ჩაროზის უქონლობის დროსაც.
- ყავის კოვზი შავი ყავის სმის დროს გამოიყენება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჭურჭელი თითოეული სტუმრისთვის სუფრაზე ცალ-ცალკე უნდა დაიწყოს.

ჭიქა მინის (ბროლის)

სუფრასთან ჩვეულებრივ, კერძების გარდა სასმელსაც მიირთმევენ, რომელიც, როგორც წესი, მინის ჭიქებით – სირჩით, ფუჟერით, ბოკალით, თლაშოთი ისმევა. თითოეულ სასმელს

თავისი განსაკუთრებული სასმისი ეკუთვნის.

- სირჩა, 35-50 სმ³ სითხის მოცულობის სასმისით მაგარ სპირტიან სასმელებს სვამენ – არაყს, სპირტიან ნაყენს, რომელსაც ცივ და ცხელ საუზმეს აყოლებენ ხოლმე.
- მადურის სირჩა – 50 სმ³ მოცულობისა და დასპირტული ღვინის (მადერა, პორტგვინი) დასალევად იღებება მაგიდაზე პირველი თავი კერძის მიერთებისას.
- რაინვანის სირჩა ორი სახისაა – ჩვეულებრივ – 75 სმ³ მოცულობისა და ფერადი მინის მაღალ ფეხზე მდგომი – 150 სმ³ მოცულობისა. ამ სასმისით ნატურალურ თეთრ ღვინოს მიერთებენ, თევზის თხელ კერძსა და ზოგიერთი სახის ცივ საუზმესთან ერთად.
- ლაფიტის სირჩა 100 სმ³ მოცულობისა, გამოიყენება ცხელ ხორციან კერძზე წითელი ღვინის დასაყოლებლად.
- შამპანურის ბოკალს 125 სმ³ მოცულობა აქვს. შამპანურს ჩაროზთან ერთად მიერთებენ.
- ფუჟერი – 200-250 სმ³ მოცულობისაა და მინერალური წყლის, წვენის ან უალკოჰოლო სასმელისთვისაა განკუთვნილი.
- კონიაკის სირჩა 15-25 სმ³ მოცულობისაა, ამ პატარა სასმისით კონიაკს ან რომს მიერთებენ ყავასთან ერთად. თუ სუფრასთან მხოლოდ კონიაკი მოიტანეს, მას არყის სირჩებით სვამენ.
- კონუსური ორთომელი – 120-150 სმ³ მოცულობისაა, მასში სხვადასხვა წვენსა და მორსს ასხამენ.
- ცილინდრული სირჩა – 250-500 სმ³ მოცულობისაა, რომლითაც ლუდს ან მორსს მიერთებენ.

სასმისის მოცულობა სასმელის სიმაგრესთანაა დაკავშირებული. რაც უფრო მაგარია სასმელი, მით უფრო მომცროა სასმისი. სმის დროს ფრთხილი და წინდახედული უნდა იყოთ, რათა თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდოთ.

ჭიქები იმის და მიხედვით მიგვაქვს სუფრასთან რა სასმელის დალევასაც ვაპირებთ. სასმელი შეირჩევა მენიუს მიხედვით. წყურვილის მოსაკლავად გაზიანი ან მინერალური წყალი გამოიყენება და უნდა იყოს 8-12°C.

სუფრის თეორეული

სუფრის თეორეული გახლავთ სუფრა და ხელსახოცები. სასურველია კარგად გახამებული და გაუთოებული ქათქათა სუფრა, რომელიც მაგიდას საზეიმო ელფერს აძლევს. ასევე აქტიურად გამოიყენებენ ფერად სუფრებსაც და ასევე შემოვიდა პოლიეთილენის ლამაზად მოხატული სუფრები, რომლებიც იოლი მოსახმარისია (არ საჭიროებს გასუფთავებისთვის რთული პროცედურების ჩატარებას).

სუფრის კიდები მაგიდის ზედაპირს 25-30 სმ. უნდა სცილდებოდეს, ხოლო მართკუთხა მაგიდის თავსა და ბოლოში ოდნავ უფრო გრძლად. ფერად სუფრას თეთრი ხელსახოცი უხდება. ჩაის და ხილის მაგიდას ფერადი სუფრა უხდება.

ხელსახოცი დანიშნულებისდა მიხედვით გამოიყენება, ჩაის სუფრას მომცრო 35X35 სმ, ხოლო საერთო სუფრას 46X46 სმ. უნდა დაეუღლაგოთ.

საზეიმო სუფრასთან უმჯობესია ტილოს ხელსახოცი გამოიყენოთ. თქვენ გემოვნებაზეა დამოკიდებული სუფრის გალამაზება ხელსახოცებით.

სუფრის გაშლის წესები

სუფრა უნდა გაიშალოს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: უნდა შეესაბამებოდეს სუფრის გაშლის მიზეზს – საუზმეს, სადილს, ვახშამს, ბანკეტს, ფუნთუშას, ტკბილსა თუ ჩაის სუფრას. დაცული უნდა იყოს სუფრასთან კერძების და სასმელისთვის აუცილებელი ჭურჭლის სახეობანი.

სუფრა ესთეტიკურად უნდა გამოიყურებოდეს – შეხამებული უნდა იყოს მაგიდის ფორმა, სუფრა, ხელსახოცი და ინტერიერი; ჭურჭელი უნდა განლაგდეს სუფრის გაწეობის წესების მკაცრი თანმიმდევრობით. სუფრა დიასახლისის აკურატურობასა და გემოვნებაზეა დამოკიდებული და კიდევ სურვილზე. ამიტომ ცოტა მეტად მონდომეთ როდესაც სტუმრები მოდიან და დაგიფასდებათ.

აუცილებელი არ არის ყველა სუფრა ერთმანეთს გავდეს, მაგრამ ჩვენ შემოგთავაზებთ სტანდარტულ პროცედურებს.

- გადავაფაროთ სუფრა.
- ინდივიდუალურად მოსახმარი თევშები და დანა-ჩანგალი;

- მინის (ბროლის) ჭურჭელი, ჭიქები;
- ხელსახოცები;
- სხვადასხვა სანელებელი;
- ყვავილების ღარნაკები;
- საფერფლეები
- და სხვა.

ამ პრინციპით სწრაფად და იოლად განაღებთ სუფრაზე მრავალრიცხოვან ჭურჭელს და თავიდან აიცილებთ უსიამოვნებას, რაც ჭურჭლის, განაკუთრებით, ბროლის ჭიქების მსხვერველს შეიძლება მოჰყვეს.

ჭურჭელი მაგიდაზე მიტანის წინ კიდევ ერთხელ დაატილოვეთ.

სუფრა ისე დააფარეთ რომ მაგიდის ცენტრში მოხვდეს, ამასთან კიდიდან 10-15 სმ. სიგრძეზე თანაბრად იყოს გადმოშვებული. უნდა გავითვალისწინოთ რომ გადმოშვებული კალთა ხელს უშლით და მოკლე არაესტეტიურია. არაა რეკომენდირებული გადაფარებული სუფრა კუთხეებით გაეჭიმოთ ან დავეტკეპნოთ.

თეფშები

სუფრაზე ყოველი სკამის წინ დადეთ პატარა საუზმის თეფში ისე, რომ მაგიდის კიდიდან თეფშამდე 1,5-2 სმ მანძილი რჩებოდეს.

საუზმის სუფრაზე ჯერ პატარა თეფშს დებენ შემდეგ ზევიდან დიდ თეფშს ადებენ, იმისთვის რომ პატარა თეფშზე დიდი დისკი მდგრად იდგეს მათ შორის შეგიძლიათ ჩალოთ ხელსახოცები.

საზეიმო მაგიდასთან ჯერ დიდ თეფშს დებენ შემდეგ პატარას. შემდეგ, 5-15 სმ მანძილზე საუზმის თეფშის მარცხნივ დადგამთ ღვეხელის თეფშს. მათი ცენტრები ერთ ხაზზე უნდა იყოს განლაგებული. განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებში, ღვეხელის თეფში შეგიძლიათ ისე დადგათ, რომ მისი შიდა მხარე პატარა თეფშისას გაუსწორდეს.

ღანა-ჩანბალის მოხმარება

ღანა-ჩანგალი და კოვზების რაოდენობა დამოკიდებულია საუზმის, სადილისა და ვახშმის კერძების რაოდენობასა და

სახეობაზე. თეფშიდან მარჯვნივ ეწყობა დანები: თეფშის გვერდით სუფრის დანა, მის მარჯვნივ – თევზის დანა და ბოლოს, საუზმის დანა. დანების პირები თეფშისკენ უნდა იყოს მოქცეული. თუ სტუმრებს წვნიანიც უნდა მიათვავთ, კოვზი მოათავსეთ საუზმისა და თევზის დანებს შორის პირით ზემოთ. თუ თევზის კერძი არ გაქვთ, მაშინ კოვზი სადილისა და საუზმის დანებს შორის იდება.

თეფშების მარცხნივ, დანების შესაბამისად მოათავსეთ ჩანგლები, წვერით ზემოთ, ჯერ სადილის, შემდეგ თევზისა და ბოლოს, საუზმისა.

თეფშებსა და დანა-ჩანგალს შორის, ისევე, როგორც დანებსა და ჩანგლებს შორის, მანძილი დაახლოებით 0,5 სმ უნდა იყოს.

დანა-ჩანგალი ერთმანეთის პარალელურად ეწყობა, ხოლო მაგიდის კიდის მიმართ პერპენდიკულარულად. მაძილი დანა-ჩანგლის ტარსა და მაგიდის კიდემდე ისეთივეა, რაც თეფშისა – 1,5-2 სმ.

დანა-ჩანგლის რაოდენობა სუფრაზე მისატანი კერძების სახეობაზეა დამოკიდებული. თუ ცივი საუზმე გაქვს, სუფრის გაშლის დროს მხოლოდ საუზმის დანა-ჩანგალს გამოიყენებთ, ხოლო თუ ცივ საუზმესთან ერთად ცხელი ხორციანი კერძიც გაქვთ, სადილისა და საუზმის დანა-ჩანგლით გააწყობთ სუფრას.

აქვე უნდა ავლნიშნოთ თუ ჩხირებით უნდა მივირთვათ კერძი, მაშინ სპეციალური თეფშები და თეფშებზე დალაგებული ჩხირები და სალფეთქი დაგჭირდებათ.

თეფშების მარცხნივ, დანების შესაბამისად მოათავსეთ ჩანგლები, წვეროვებოთ ზემოთ, ჯერ სადილის, შემდეგ თევზისა და ბოლოს, საუზმისა.

თეფშებს და ჩანგლებს შორის იმდენივე მაძილი უნდა იყოს რამდენიც თეფშებსა და დანებს შორის. დანა-ჩანგალი ერთმანეთის პარალელურად ეწყობა, ხოლო მაგიდის კიდის მიმართ პერპენდიკულარულად.

ჩაროხის დანა-ჩანგალი და ჩაროხის კოვზი ზემოდან, შეიძლება ნაწილობრივ გამოიყენოთ. მაგალითად თუ ჩაროხი არის კომპოტი ან კისელი – მხოლოდ კოვზი დაგჭირდებათ. თუ ხილი ან ნამცხვარი – კოვზის გარდა დანა-ჩანგალიც დაგჭირდებათ. თუ მარტოოდენ ხილი მიგაქვთ სუფრაზე მაშინ ჩაროხის დანა-ჩანგალი.





ჰიქები, მინა (ბროლი) სუფარხი

სადღესასწაულო სუფრის აუცილებელი კომპონენტია სასმელი, რისთვისაც მინის ან ბროლის ჭურჭელს იყენებენ და რომლის რაოდენობა და ასორტიმენტი სტუმრისთვის შეთავაზებული სასმელის მრავალფეროვნებაზე დამოკიდებული.

თუ სუფრასთან მხოლოდ მინერალური წყალი ან წვენი მიგაქვთ და ლუდს მიირთმევთ, ყოველი თევზის წინ, ზუსტად შუაში, ან მარჯვნივ, პირველი დანის წვერთან უნდა დადგათ ღვინის ჭიქა. თუ წყალთან ერთად ბურახს ან მორსს შესთავაზებთ სტუმრებს, ფუჟერის ნაცვლად კათხა უნდა დადგათ, სახელური მარჯვნივ უნდა იყოს მიმართული.

თუ სუფრასთან არაყი მიგაქვთ, სასმელის შესაბამისად ღვინის ჭიქის გვერდით სირჩა ან ბოკალი უნდა დადგათ. კონიაკისთვისაც გამოიყენება იგივე სირჩა. თუ წყალთან ერთად ორი სახის ალკოჰოლიანი სასმელით აპირებთ გამასპინძლებას, ღვინის ჭიქა თევზის მარცხნივ დადგით, გვერდით კი მადერას ან არყის სირჩა მიუდგით.

გავითვალისწინოთ, რომ ერთ რიგში სამზე მეტი ჭიქა არ უნდა იდგას, ამიტომ თუ სუფრა მრავალფეროვანია, მაშინ მეორე რიგად უნდა დააწყოთ დარჩენილი საჭირო ჭიქები. ასეთ სუფრებზე საერთოდ წვნიან კერძებს არ მიირთმევენ, შესაბამისად, სუფრაზე არ დგას წვნიანისთვის განკუთვნილი მაგარი ღვინო, ე. ი. მადერას სირჩის ნაცვლად იდგმება რაინვიანის სირჩა.

მანძილი თევზებსა და ჭიქებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 0,5-1 სმ-ს.

ხელსახოცი

საერთოდ მაღალ დონეს მიუთითებს კარგად გახამებული, ქათქათა, ლამაზად დაკეცილი ხელსახოცი. ხელსახოცის დაკეცვის ათასი წესი არსებობს, ყველაზე მარტივი და მოსახერხებელია სამკუთხედის ფორმით დაკეცვა. დაკეცილი ხელსახოცი ყველა სტუმრის საუზმის თევზზე დევს. ტილოს ხელსახოცის ნაცვლად შეგიძლიათ ქაღალდის ხელსახოცი გამოიყენოთ. ოღონდ, ეკონომიის მიზნით ნუ დაჭრით მას.

სანელეპელი და ყვაპილეპი

სუფრის გაშლის შემდეგ, მაგიდა ყვაპილეპის ლარნაკებით და საგანგებო ჭურჭელში მოთავსებული სხვადასხვა სანელეპლით – მარილით, პილპილით, მღოგვით და ა.შ. დაამშვენეთ. ამასთან, აუცილებლად შეამოწმეთ, რომ სანელეპლები ადვილად გამოიბნეს ჭურჭლიდან, ხოლო იმ მხარეს, საიდანაც სანელეპლებს ყრიან, მჭიდრო დაუცეთ საცობი.

საზეიმო შეხვედრაზე სანელეპლებს ღია სასანთლეებში დებენ. ბოლო დროს ფართოდ გავრცელდა მოხატული ან ჩასადგმელიანი სანთლები და არ დაგჭირდებათ ზედმეტი ზრუნვა ასანთის ნარჩენებზე, ან დაცვა ცეცხლის გაჩენისგან.

სანელეპლებს სპეციალურ სამარილეებში ყრიან და სპეციალურ კოვზს უდებენ რათა გაიოლდეს მისი მოხმარება. წმინდა მარილი ადვილად ნესტიანდება. ამიტომ, სუფრასთან ასეთი მარილი არ მიაქვთ. წმინდა მარილი სუფრის მარილში უნდა აურიოთ და სამარილეში ორიოდე მარცვალი ბრინჯი ჩააგდოთ.

ასევე მიაქვთ მღოგვი, თუ სტუმრებში მღოგვის მოყვარულები არიან.

სანელეპლად მენიუს გათვალისწინებით სუფრაზე მიაქვთ ძმარი, ზეთი, კეტჩუპის ტიპის საწებელა.

კიდევ ერთი რჩევა დიასახლისებს: ძმარი რომ ზეთისგან ადვილად გამოირჩეს, ძმარს რამდენიმე წვეთი წითელი ღვინო დაუმატეთ, ხოლო თუ ზეთი ამღვრეულია, დანის წვერით ცოტაოდენი მარილი ჩაყარეთ.

საზეიმო სუფრას განსაკუთრებით უხდება დაბალფეხიან ვაზაში ჩალაგებული თაიგულები, ზალიან ლამაზია ვარდების და მიხაკების თაიგულები გაფორმებული მინდვრის ყვაპილეპით. ასევე ეფექტურია დაბალ ბრტყელ ჭურჭელში ჩაწყობილი ყვაპილეპი, რომლებიც ბანკეტებზე გამოიყენება.

ვარმოღვენას შებიძმნით საბანკეტი(ო) სუფრებზე

ასეთი ბანკეტები ჩვეულებრივ ოფიციალური შეხვედრებისას იმართება, აგრეთვე, დიდი დღესასწაულის დროს არის მიღებული.

- ყოველი სტუმრისთვის სუფრაზე იდება სადარბაზო ბარათი, სტუმრის ვინაობა და ლამაზად გაფორმებული ბანკეტის მენიუ.
- საბანკეტო მაგისაზე წინასწარ არ აწვობენ საუზმეს, კერძებს და სასმელს.
- საუზმეს, კერძებს და სასმელს სტუმრებს ოფიციალტები თანმიმდევრულად მიართმევენ. კერძებისა და სასმელის ჩამოტარების რიგითობა ეტიკეტით განისაზღვრება. მიმტანი კერძით ხელში ეახლება სტუმარს და თავად გადაუღებს თეფშზე. ხოლო თუ კერძი პერსონალურია – ცხელი საუზმე, წვნიანი ან ღარნაკში მოთავსებული ტკბილი კერძი – სტუმარს წინ დაუდგამს.
- ყველანაირ სასმელს მიმტანი ასხამს და თავადვე იცავს მირთმეულ კერძთა სასმელის სახეობათა შესაბამისობას.
- მომსახურებისას მიმტანი სტუმარს უცვლის ნახმარ თეფშს, დანა-ჩანგალს, სასმისს.
- ამგვარ ბანკეტზე საუზმე შეზღუდულია – ოთხოდე სახის ცივი საუზმე, ერთი ან ორი ცხელი კერძი და ჩარობი.

ბანკეტზე სტუმარი საკუთარ თავს არ ემსახურება. სრული მომსახურების ბანკეტზე პირველ რიგში უნდა ვიპოვოთ ჩვენი სადარბაზო ბარათი, უნდა მოვემსახუროთ მეზობელ მანიდლოსანს და შემდეგ მივუჯდეთ სუფრას, (ქალბატონები არავის არ ემსახურებიან).

ბანკეტის თითოეულმა მონაწილემ მკაცრად უნდა დაიცვას ეტიკეტი. ბანკეტის დასასრულს, რომელიც 1,5-2 სთ. გრძელდება, მასპინძელთან ერთად ფეხზე წამოდგებით, ადგომაში მიეხმარებით მარჯვნივ მჯდომ მანიდლოსანს.

ასევე გვაქვს ბანკეტები ნაწილობრივი მომსახურებით. მეგობრული შეხვედრების და საოჯახო ზეიმების დროს მივმართავთ ნაწილობრივ ბანკეტებს.

სტუმარი თავად იღებს ცივ საუზმესა და კერძებს, ისხამს სასმელს. წვნიანს, მეორე თავ ცხელ კერძს და ტკბილ კერძს ყოველ სტუმარს სათითაოდ მიართმევენ მიმტანი.

ბანკეტი იწყება მიღება-გაცნობით და სტუმრები თავად ირჩევენ თავიანთ ადგილებს. ასეთი ბანკეტების მენიუ მრავალფეროვანია, საუზმე 8-10 სახისაა. სუფრა სადღესასწაულო ჭურჭლით, ცივი საუზმეულით, სასმელითა და ხელით გაწყობილ სუფრასთან, თეფშებზე პური უსათუოდ უნდა იდოს.

სტუმრები ეტიკეტის დაცვით მიუსხდებიან სუფრას, დაისხამენ სასმელს, გადაიღებენ საუზმეს და შეექცევიან. შემდეგ მორთმევენ ცხელ კერძებს, და სურვილისამებრ გადაიღებენ სტუმრები, ბოლოს შემოაქვთ ხილი და დესერტი.

ბანკეტი-ფურშეტი

ბოლო დროს ძალიან გავრცელდა ბანკეტი-ფურშეტები. ფურშეტები ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „ჩანგლით“. საქმე ის არის რომ ასეთი სუფრების დროს ძირითადია ჩანგალი, არ გვაქვს სუფრები და საჯდომი ადგილები. ფურშეტს მიმართავენ უდროობის გამო, და გრძელდება 1-1,5 სთ. და ამ მოკლე დროში ძალზედ ბევრ სტუმარს უნდა უმასპინძლოთ.

ასეთ შეხვედრებზე სტუმრები თვითონ ირჩევენ დარბაზს, მენახეს, კერძებს და სასმელს.

ფურშეტის დროს ზეზეულად ჭამენ და სვამენ, ამისთვის კი, მხოლოდ ჩანგალს იყვენებენ. სტუმარს სურვილისამებრ შეუძლია დასტოვოს დარბაზი. ხანდაზმული სტუმრებისთვის დარბაზში სასურველია იყოს სავარძლებიც. ფურშეტის სუფრაზე 12-16 თავი ცივი საუზმე და კერძია ხოლმე. 1-3 ცხელი საუზმე, ჩაროზი, ყავა ან ჩაი. ცივი საუზმე პატარა ნაჭრებადაა დანაწილებული და შესაფერისი ჭურჭლით აწყვია მაგიდაზე.

ყველა კერძის ლანგარს გვერდით უდევს თავისი კოფზი ან ჩანგალი, რომლითაც სტუმრებმა უნდა გადაიღონ თავიანთი კერძი.

შუა სუფარზე დევს სასმელები და სასმისები, მაგიდის კიდეებზე, ყოველ 1,5-2 მეტრის მანძილზე აწყვია საუზმის თეფშები, დანა-ჩაბკლები და ჭიქები. ცხელ კერძს, ჩაროზს შამპანიურითურთ, აგრეთვე, ყავასა და კონიაკს ოფიციალტები ლანგრით ჩამოატარებენ და სტუმრებს სათითაოდ სთავაზობენ.

ცხელ საუზმიან ლანგრებზე, აგრეთვე, აწყვია თეფშები და საგანგებოდ კერძის გადასადებად და საჭმელად გამიზნულია „დაშნები“.

ფურშეტის სტუმარი პირველ რიგში იღებს საუზმის თეფშიდან ზედას, შემდეგ საუზმის ჩანგალს დებს თეფშზე და მარცხენა ხელის ცერით იჭერს. სუფრის კიდეზე დებს პურს 1-2 ნაჭერს, ჩაიწევს მაგიდის გასწვრივ, მარცხნივ, რათა სხვა სტუმრებს არ შეუშალოს ხელი.

თქვენ თეფშზე საუზმე უნდა გადაიღოთ საერთო ჩანგლითა

და კოვზით, და მალევე უკან დააბრუნეთ. არაა სავალდებულო ყველაფერი ერთად გადაიღოთ. ჭამა დაიწყეთ ბოსტნეულითა ან თევზით, შემდეგ ნახმარ ჭურჭელს ლანგარზე დააწყოთ და გადმოიღებთ ახალს სხვა კერძების მისართმევად.

შესაძლოა მიმტანმაც მიართვას სტუმრების ჯგუფს საუზმე, თეფშები, დანა-ჩანგლები.

ცხელი საუზმე 30 წთ.-ში შემოდის. აიღეთ მარცხენა ხელში თეფში და მარჯვენა ხელით გადმოიღეთ კერძი. ჩაროზი შემოავთ ცხელი კერძის მირთმევიდან 10-15 წთ.-ის შემდეგ. შემოაქვთ პატარა ლარნაკებით რომელშიც კოვზიც დევს და უმაღლ მოაყოლებენ შამპანურს. შემდეგ შემოგთავაზებენ შავ ყავას და კონიაკს. ყავის ფინჯანი მარცხენა ხელი უნდა აიღოთ, კონიაკის სირჩა მარჯვენათი და წრუპოთ მორიგეობით. ამით მთავრდება ცივი საუზმე.

ბანკეტ-კოქტილი

ასეთ სუფრებზე ფუშეტებთან შედარებით უფრო ბევრი ხალხის მოწვევა შეიძლება. ბანკეტ-კოქტილებზე ყველა სტუმარი ზეზეულად ჭამს. აქ ჩამოატარებენ საჭმელ-სასმელს, თეფშებს, „დაშნებს“, პურს.

მენიუში შედის – ხიზილალა, ან სალათი, ან ღორი, ან ძეხვი, ან ყველი, ან პაშტეტები, ან ბუტერბროდებს, სალათს და ა.შ.. ცხელო საუზმიდან – სოსისს, ღულა-ქაბაბს, კოქტილს (სპირტიანს, ზომიერს, სადესერტოს), ან შამპანურს, კონიაკს, არაყს.

სტუმრებს ემსახურება ორ-ორი ოფიციანტი. ერთი საუზმეს სთავაზობს, მეორე-შესაბამის სასმელს.

საბანკეტო დარბაზში არ დგას სუფრები და სკამები, კუთხეში დგას მაგიდა ყვავილებითა და ჭურჭლით. ერთი მიმტანი გთავაზობთ კერძს, მეორე სასმელს. ბანკეტ-კოქტილი 1,5-2 სთ. გრძელდება.

ბანკეტი-ჩაი

ეს ჩვეულებრივ ქალთა საზოგადოებაში ეწყობა. მოწვეულ სტუმართა რაოდენობა 10-30 უნდა იყოს. ასეთ დღეობას აწყობენ დაბადების დღის ან რაიმე საზეიმოს აღსანიშნავად. მაგიდაზე

აფარია ფერადი სუფრა, გაწყობილია დესერტის სერვიზით. და თეფშებზე აფარია ხელსხოცები. წინ კონიაკის სირჩები. ასეთი სუფრები სტუმრების მოსვლამდე იწყობა. სუფრაზე აწყვია ღამაში ნაცხვარი ან ტორტი. დამხმარე მაგიდაზე არის ჩაის ფინჯნები, ჩაიდანნი, დანა-ჩანგლები. დარბაზის კუთხეში ფერად სუფრიანი მაგიდები აწყვია ღარნაკი ყვავილებით და თუ სიგარედის მოწვევა ნებადართულია სიგარედით. აქვეა სავარძლებიც. ასეთი ბანკეტის მენიუ ყველა სხვა მენიუებისგან განსხვავებით ჩაისთვის საჭირო ტკბილეულს გვთავაზობს: 2-3 სახის მურაბას, ღვეზელს, ნაღებს, ტორტს, სხვადასხვა ნამცხვარს, შოკოლადს, კანფეტს, ლიმონს და ა.შ. არ დაგვავიწდეს რომ ამ ყველაფერს გვერდით დაუდეთ გადასაღები ნიჩბები, კოვზები, მაშა და ყველა საჭირო ინვენტარი. შეიძლება ბანკეტის მენიუ 2-3 სახის ცივ კერძსაც შეიცავდეს და ამ დროს სუფრაზე უნდა მივიტანოთ საუზმის თეფშები და დანა-ჩანგალი. როგორც წესი ბანკეტი-ჩაი გრძელდება 2 საათი.

არ ჩავთვალეთ საჭიროდ აღვწეროთ დიდი ბანკეტების (ქორწილები და სხვა) მომზადება. ასეთი დღესასწაულები სასურველია სპეციალურ ჯგუფს დაუკვეთოთ, რომელიც არამარტო სუფრაზე იზრუნებს არამედ სტუმრების და ოჯახის სრულ გართობასაც უზრუნველყოფენ.





ერთეულები

მწ. – მწიკვი

გრ. – გრამი

კგ. – კილოგრამი

ს.კ. – სუფრის კოვზი

ჩ.კ. – ჩაის კოვზი

ც. – ცალი

სთ. – საათი

წთ. – წუთი, საათის მე-60-ედი ნაწილი

ჩ.ჭ. – ჩაის ჭიქა

ლ. – ლიტრი

მლ. – მილი ლიტრი (1000 მლ.=1 ლ.)

სმ. – სანტიმეტრი

პ. – პაკეტი, კოლოფი

კ/კალ – ზომის ერთეული, რაც იწვევს წონაში მატებას

კრუასანის ცომი – ფენოვანი ცომი

1 ბრიკეტი – 42 გრ.

სხვა:

პერგამენტი – სპეცილური სახის პრიალა გამჭვირვალე ფურცელი, რომელიც არ ეკვრის ნამცხვარს და ხელს უშლის ბისკვიტის ან ფენების ძირიდან დაწვას და ფორმაზე დაწებებას

ნეკერჩხალი – მცენარე რომელიც გამოიყენება საჭმლის ინგრედიენტად და შეგიძლიათ შეიზინოთ სუნელებთან ერთად.

კეთილი სურვილებით, შეხვედრამდე

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kochkunst: Lukullisches von A bis Z - 7. Aufl - Leipzig: Verlag die Frau, 1990.
2. სუფრასთან ქცევის წესები - საქინფორეკინო. თბილისი. 1993
3. დიდი წიგნი ცხრობისათვის - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი 2006
4. დიასახლისებისგან მოწოდებული რეცეპტები
5. ინტერნეტ საშუალებები

მერმისი მ.ვ.

ჭამა მაინც საჭიროა

პირველი კრებული

რედაქტორთა ჯგუფი:

რედაქტორი: მადონა გერიტიშვილი

ნანა ნატროშვილი

ნატო ბუსხრიკიძე

მხატვარი: _____

გამოცა კომპანიის ხარჯებით

© წიგნი მომზადდა კომპანია „მერმისი მ.ვ.“ მიერ.

ტირაჟის რაოდენობა 500 ცალი

ჭამა მაინც საჭიროა

The eat is even needed

ISBN 978-9941-0-2563-1



